# აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის საკითხთა კომისიის მიერ  გაწეული საქმიანობის ანგარიში

28.11.2016-31.08.2017

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის საკითხთა კომისიის ანგარიშში ასახულია 2016 წლის 28 ნოემბრიდან დღემდე კომისიის მიერ განხორციელებული საკანონმდებლო ინიციატივების შესახებ ინფორმაცია, უმაღლეს საბჭოსა და ბიუროს სხდომებზე კომისიის თავმჯდომარის მიერ გატანილი საკითხების, კომისიის მიერ გამართული სხდომების, მომზადებული დასკვნების, მოქალაქეთა მიღებებისა და განხილულ კორესპონდენციათა სტატისტიკა. წარმოდგენილია კომისიის თავმჯდომარისა და წევრების მიერ განხორციელებული მნიშვნელოვანი ღონისძიებების, შეხვედრებისა და სხვადასხვა საქმიანობის შესახებ ინფორმაცია.

კომისიის თავმჯდომარე ვლადიმერ მგალობლიშვილი
კომისიის თავმჯდომარის
მოადგილე დავით თედორაძე

კომისიის წევრები: მერაბ კარანაძე
ცოტნე ანანიძე
ასმათ დიასამიძე
გიორგი ცინცქილაძე

# საკანონმდებლო საქმიანობა

- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ბიუროს გადაწყვეტილებით განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის საკითხთა კომისია ერთ კანონპროექტზე განისაზღვრა წამყვან კომისიად (ვ. მგალობლიშვილის ინიციატივა ,,ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში შესატანი ცვლილება);

- კომისიამ შეიმუშავა და წარადგინა 16 სავალდებულო დასკვნა უმაღლესი საბჭოს რეგლამენტით გათვალისწინებულ საკითხებზე;

- საანგარიშო პერიოდში კომისიამ ჩაატარა 16 სხდომა და განიხილა 26 საკითხი;

- საანგარიშო პერიოდში კომისიაში მიღებული იქნა 125 მოქალაქე;
- კომისიაში შემოვიდა და დამუშავდა 62 კორესპონდენცია;
- კომისიიდან გაიგზავნა 108 კორესპონდენცია.

## კანონპროექტები, რომელიც შემუშავდა კომისიაში

1. კომისიაში დამუშავდა კანონპროექტი ,,აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ქონების მართვისა და განკარგვის შესახებ'' აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე. ცვლილება შევიდა კანონის პირველი მუხლის მე-2 პუნქტში, სადაც განსაზღვრულია კანონის რგულირების სფერო და ჩამონათვალს დაემატება ,,გ[1]“ პუნქტი, რამაც აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიანიჭა მის მიერ განათლებისა და კულტურის სფეროში განხორციელებული პროგრამების ფარგლებში ფიზიკური პირებისათვის შესყიდული საქონელის ფიზიკური ან/და კერძო სამართლის იურიდიული პირებისათვის გადაცემის უფლება.

*ცვლილება მოწონებული და მიღებული იქნა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მიერ*

2. კომისიის თავმჯდომარის - ვლადიმერ მგალობლიშვილის მიერ შემუშავებული იქნა კანონპროექტი - ,,ზოგადი განათლების შესახებ'' საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე'' საქართველოს კანონის პროექტის საქართველოს პარლამენტში წარდგენის შესახებ. პროექტის მიზანი იყო აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსათვის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებული საჯარო სკოლების დირექტორის მოვალეობის შემსრულებელთა დანიშვნა/გათავისუფლების უფლებამოსილების მინიჭებისათვის შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის შექმნა.

*კანონპროექტი მოწონებული და მიღებული იქნა საქართველოს პარლამენტის მიერ*

კომისიაში დამუშავდა და უახლოეს პერიოდში წარედგინება უმაღლესი საბჭოს ბიუროს კანონის პროექტი ,,ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე, რომლის მიზანია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსათვის უფლების დელეგირება, რომლის თანახმადაც, საჯარო სკოლის სტრუქტურული ერთეულების მიერ საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნების და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების დარღვევის შემთხვევაში, სამინისტრო აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებულ საჯარო სკოლებს მისცემს წერილობით გაფრთხილებას ან/და სკოლის სამეურვეო საბჭოს მიმართავს შესაბამისი დასაბუთებული წარდგინებით დირექტორისათვის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის თაობაზე. ასევე სამინისტროს მიეცემა უფლება თუ საჯარო სკოლა დირექტორის საქმიანობის გამო ერთი წლის განმავლობაში 2 წერილობით გაფრთხილებას მიიღებს, შეუწყვიტოს უფლებამოსილება დირექტორს/ დირექტორის მოვალეობის შემსრულებელს.

კომისიაში ასევე დამუშავდა კანონპროექტები: **,,მუზეუმების შესახებ'' საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე და ,,სახელმწიფო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე.**

*პროექტების თაობაზე მიმდინარეობს განხილვები შესაბამის სტრუქტურებთან ერთად*

**კომისიამ განიხილა ,,კულტურული და ბუნებრივი მემკვიდრეობის კოდექსის“ პროექტის სამუშაო ვერსია და მოამზადა წინადადებები და მოსაზრებები ,,კულტურული და ბუნებრივი მეკვიდრეობის კოდექსში“ შესატან ცვლილებებთან დაკავშირებით, რომელიც გადაეგზავნა საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს.**

## კომისიის მიერ განხორციელებული მნიშვნელოვანი ღონისძიებები, შეხვედრები და სხვადასხვა საქმიანობა

კომისიის თავმჯდომარე და წევრები სისტემატიურად მართავენ შეხვედრებს საზოგადოებასთან, უცხოელ სტუმრებთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან, განახორციელეს რამდენიმე საქმიანი მივლინება უცხოეთში.

- ვ. მგალობლიშვილი დაესწრო სასტუმრო "ოაზისში" გამართულ ახალგაზრდულ ფორუმს სახელწოდებით ,,რეგიონის განვითარება და ახალგაზრდობის როლი», სადაც სიტყვით გამოსვლისას ისაუბრა ახალგაზრდებისთვის სამოქალაქო აქტივობისა და არაფორმალური განათლების მნიშვნელობაზე.

- ვ. მგალობლიშვილი უმაღლესი საბჭოს წევრებთან ერთად, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის ბათუმის რეგიონალურ ოფისში, შეხვდა 11 მარტის აქციის შედეგად დაკავებულთა ოჯახების წევრებს, სადაც შეკრებილებს აღუთქვეს, რომ მათ მოსაზრებებს გუდასმით განიხილავენ და ამ საკითხს შესაძლებლობის ფარგლებში ყურადღებას არ მოაკლებენ.

- ვ. მგალობლიშვილი, მ. კარანაძე - 27 თებერვალს შეხვდნენ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოს ,,გაეროს ახალგაზრდული ასამბლეა - 2017“ -ის მონაწილე მოსწავლეებსა და სტუდენტებს. ახალგაზრდებმა კანონმდებლებთან გულწრფელად ისაუბრეს საგანმანათლებლო სისტემაში მათ მიერ დანახულ ხარვეზებსა და პრობლემებზე, გამოთქვეს მოსაზრებები, რომლებიც მათი თვალთახედვით, ამ საკითხების მოგვარებისათვის მნიშვნელოვანია და მოისმინეს კანონმდებელთა რეკომენდაციები.

- ვ. მგალობლიშვილმა საქართველოს პარლამენტის განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტის თავმჯდომარე _ ქალბატონი მარიამ ჯაშსა და საქართველოს პარლამენტის წევრ _ ქალბატონ ფატი ხალვაშთან ერთად, სამთავრობო უწყებებს შორის კულტურის დარგში სწორი კოორდინირების და საკანონმდებლო დონეზე ინიციატივების მხარდამჭერი, სამუშაო შეხვედრა გამართა ხარიტონ ახვლედიანის სახლ- მუზეუმისა და ბათუმის არქეოლოგიურ მუზეუმის თანამშრომლებთან.

- ვ. მგალობლიშვილი 3-6 მაისს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის, ქალაქ ვისბადენში მივლინებული იყო ევროპის ფესტივალების ასოციაციის სამიტზე. მივლინებისას შედგა შეხვედრა ევროპის ფესტივალების ასოციაციის ახლადარჩეულ პრეზიდენტთან იან ბრიერსთან, რომელიც ამავდროულად არის ბელგიის დასავლეთ ფლანდერის პროვინციის მმართველი. მას მიეწოდა ინფორმაცია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კულტურული და ტურისტული პოტენციალის შესახებ. აღინიშნა, რომ ბათუმი არის საუკეთესო ადგილი კულტურული აქტივობების გამართვისთვის. ბატონმა იანს ბრიერნმა გამოხატა დაინტერესება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკით, ასევე გამოხატა მზაობა დასავლეთ ფლანდერის ადგილობრივი წარმომადგენლობითი ორგანოსა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოს შორის თანამშრომლობის ხელშეწყობის შესახებ. სამიტის დასკვნითი ნაწილი გაიმართა ქ. ვისბადენში, ჰესენის რეგიონული პარლამენტის სხდომათა დარბაზში. სამიტის დასრულების შემდეგ შევხვდი ჰესენის რეგიონული პარლამენტის წარმომადგენლებს, სადაც განვიხილეთ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოსთან შესაძლო თანამშრომლობის პერსპექტივები. გამოითქვა მზადყოფნა უახლოეს პერიოდში კონსულტაციების დაწყების თაობაზე.

- ვ. მგალობლიშვილი 27 მაისიდან 2 ივნისის ჩათვლით ავსტრიულ- ქართული თეატრის მიერ მიწვეული იყო ქალაქ ვენაში. ვიზიტის დროს ქონდა საქმიანი შეხვედრები ქალაქ ვენის მერიაში და ადგილობრივ წარმომადგენლობით ორგანოში, ასევე ვენის რეგიონულ საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლებთან.

ასევე გაიმართა სამუშაო შეხვედრები არტ-მენეჯერებთან ფესტივალების მოწყობის სამართლებრივი რეგულაციებისა და დაზღვევის შესახებ, ავსტრიაში არსებული გამოცდილების გაზიარების მიზნით.

კომისიის წევრის, ხელვაჩაურის მაჟორიტარი მ. კარანაძე სისტემატიურად ახორციელებს მოსახლეობასთან შეხვედრებს:

- რამდენჯერმე შეხვდა ხიხანისა და ტაოს ქუჩის მცხოვრებლებს. აღნიშნულ ქუჩაზე მცხოვრები მოსახლეობა, ახალციხისა და ბათუმის ქვესადგურების დამაკავშირებელი ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობის გამო უკმაყოფილებას გამოთქვამს. ისინი მშენებლობის არეალში მოხვედრილი მიწის ნაკვეთებისთვის გამოყოფილი საკომპენსაციო თანხის გაზრდას მოითხოვენ, რომელიც მათი განცადებით კომპენსაცია საბაზრო ღირებულებას არ შეესაბამება.
- შეხვდა ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის კირნათის თემის მოსახლეობას . შეხვედრაზე ჰესის მშენებლობასთან დაკავშირებულ პრობლემებზე ისაუბრეს. საუბარი ასევე შეეხო სოფლის ცენტრალური და მისასვლელი გზების შეკეთებას.
- მ. კარანაძე ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ახალშენის მოსახლეობას შეხვდა და მათ პრობლემებს გაეცნო. ადგილობრივები სასმელი წყლის, გარეგანათებისა და გზების მოწესრიგება ითხოვენ.
- შეხვდა ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ მარადიდის მოსახლეობასა და კომპანია „აჭარ-ენერჯი-2007-ის“ წარმომადგენლებს შეხვდა. შეხვედრის მთავარ თემას, ჰესების მშენებლობასთან დაკავშირებით, მოსახლეობისთვის კომპესაციების გაცემის საკითხი წარმოადგენდა.
- შეხვდა ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ აჭარისწყლის მოსახლეობას. შეხვედრაზე ადგილობრივებმა სასმელი წყლის, გზების მოწესრიგება და მოძველებული ელექტროგადმაცემი ბოძების გამოცვლა მოითხოვეს. ასევე პრობლემას წარმოდგენს სასოფლო-სამეურნეო მიწების სატყეო ფონდის საკუთრებაში გადაცემის საკითხიც.
- გაეცნო ქედის მუნიციპალიტეტის სოფლების, ჭალახმელა, ჭინკაძეები, დოლოგანი, აწჰესი, ქოსოფელი, ნამლისევი, მილისი და უჩხითის, მცხოვრებთა პრობლემებს.
- მოინახულა ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ თხილნარში მცხოვრები მერაბ შაინიძის ოჯახი. შაინიძეებს სახლი, 23 აპრილს ამოვარდნილმა ძლიერმა ქარმა მთლიანად დაუნგრია.
- შეხვდა ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ზანაქიძეების მოსახლეობას. ადგილობრივებმა მავნე მწერებისგან მიწის ნაკვეთების შეწამვლა, გარე განათების მოწყობა, გაზიფიცირება და სასმელი წყლით სტაბილური მომარაგება მოითხოვეს.
- შეხვდა ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვედა სამების მაცხოვრებლებს. მოსახლეობა ითხოვდა თავდაცვის სამინისტროსთან შუამდგომლობას, ზედა გარადოკის ტერიტორიაზე არსებული საძოვრების დროებით სარგებლობაში გადაცემასთან დაკავშირებით.
- ივნისი-ივლისის თვის განმავლობაში რამდენჯერმე შეხვდა კირნათი-მარადიდის მოსახლეობას. ადგილობრივები, თურქულ კომპანია „აჭარ ენერჯი 2007"-ის, რომელიც ჰესს აშენებს, საკომპენსაციო თანხების გამო ედავებიან.

- შეხვდა ორთაბათუმის თემის მოსახლეობას. ადგილობრივები დასაქმებას, გაზიფიცირებას და შიდა სასოფლო გზების მოწესრიგებას ითხოვენ.

- სოფლების ერგესა და ჯოჭოს მოსახლეობას შეხვდა. ადგილობრივები გაზიფიცირებასა და აზიურ ფაროსანასთან დაკავშირებით პრევენციული ღონისძიებების გატარებას ითხოვენ.

კომისიის თავმჯდომარის მოადგილე დავით თედორაძე:

- შეხვდა ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ გეგელიძეების მოსახლეობასა და პედაგოგებს.
- დ. თედორაძის ინიციატივით მომზადდა და ჩატარდა დედაენის დღისადმი მიძღვნილი შემოქმედებითი საღამო.
- 10 მარტს შეხვდა ხიჭაურის სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტებსა და პროფესორ- მასწავლებლებს.

**კომისიის თავმჯდომარე აქტიურად თანამშრომლობს აჭარის ა.რ. განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსთან. არის სამინისტროში შექმნილი შემდეგი კომისიების წევრი:**

- „თავისუფალი პროექტების" შესარჩევი კონკურსის კომისიის წევრი;
- „სტუდენტთა დახმარების" ფარგლებში ბენეფიციარების გამოვლენის მიზნით შექმნილი კომისიის წევრი.
- პროექტების - „სწავლა საზღვარგარეთ", „სამეცნიერო ღონისძიებებში მონაწილეობა", „კონფერენციის ორგანიზება" ბენეფიციარების გამოვლენის მიზნით შექმნილი კომისიების წევრი.

განათლების, მეცნიერების, კულტურისა და
სპორტის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე: ვლადიმერ მგალობლიშვილი